



2024 წ.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარ-დეკემბერი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge



საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, იანვარი, 2024 წ.




2023 წლის იანვარ-დეკემბერში:

- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა **22,679.5 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 102.3%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ძირითადი წილი, 74.9%-ის ოდენობით, მოდის **საგადასახადო შემოსავლებზე**, რომელიც, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად შემოსულობებში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა **22,349.7 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 100.2%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი წილი, 75.7%-ის ოდენობით, მოდის **ხარჯებზე**, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და მცირედით შემცირებულია 2022 წელთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დაგროვებამ **329.8 მლნ ლარი** შეადგინა და 2024 წლის 1 იანვრისთვის - **1,577.3 მლნ ლარის** ოდენობით განისაზღვრა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით¹ შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 22,170.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების წლიური გეგმა - 22,311.3 მლნ ლარის ოდენობით. 2023 წლის იანვარ-დეკემბერში შემოსულობების შესრულება შეადგენს 22,679.5 მლნ ლარს (წლიური გეგმის 102.3%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2,150.3 მლნ ლარით (10.5%-ით) აღემატება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 22,349.7 მლნ ლარს (წლიური გეგმის 100.2%) და 2,186.7 მლნ ლარით (10.8%-ით) მეტია წინა წლის იანვარ-დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 12 თვის შესრულების მაჩვენებლები.



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 12 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2014-2023 წლებში (მლრდ ლარი, %).

რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, წლიურ გეგმასთან შედარებით გადაჭარბებით არის შესრულებული შემოსავლების (102.6%), არაფინანსური აქტივების კლებისა (101.7%) და ვალდებულებების ზრდის (105.7%) კომპონენტები, ხოლო ფინანსური აქტივების კლების კომპონენტები გამოირჩევა დაბალი შესრულების დონით (64.6%).

გადასახდელების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი წლიური გეგმის 100.2%-ს უტოლდება. წლიური დამტკიცებული გეგმით განსაზღვრულ მოცულობებს აჭარბებს, ასევე, არაფინანსური აქტივების ზრდისა (100.4%) და ფინანსური აქტივების ზრდის (105.5%) კომპონენტების შესრულების მაჩვენებლები. კარგი შესრულების დონით ხასიათდება ვალდებულებების კლების კომპონენტის შესრულება - წლიური გეგმის 97.7%.


¹ 2023 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს კანონი „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

| დასახელება | 2023 წლის გეგმა | 12 თვის შესრულება | % წლიურ გეგმასთან | დასახელება | 2023 წლის გეგმა | 12 თვის შესრულება | % წლიურ გეგმასთან |
|------------------------------|-----------------|-------------------|-------------------|-----------------------------|-----------------|-------------------|-------------------|
| შემოსულობები | 22,170.9 | 22,679.5 | 102.3% | გადასახდელები | 22,311.3 | 22,349.7 | 100.2% |
| შემოსავლები | 18,239.9 | 18,716.5 | 102.6% | ხარჯები | 16,899.9 | 16,928.1 | 100.2% |
| არაფინანსური აქტივების კლება | 200.0 | 203.4 | 101.7% | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,955.7 | 3,972.8 | 100.4% |
| ფინანსური აქტივების კლება | 450.0 | 290.8 | 64.6% | ფინანსური აქტივების ზრდა | 337.2 | 355.9 | 105.5% |
| ვალდებულებების ზრდა | 3,281.0 | 3,468.8 | 105.7% | ვალდებულებების კლება | 1,118.5 | 1,092.9 | 97.7% |

ცხრილი 1: 2023 წლის 12 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ² 12 თვეში შეადგინა 1,788.4 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ³ - -1,981.0 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 12 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

2014-2023 წლების 12 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო



დიაგრამა 2: 2014-2023 წლების 12 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაბუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი. იანვარ-დეკემბერში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 329.8 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 იანვრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 1,577.3 მლნ ლარის ოდენობით.


² საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.

³ მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების დეკემბრის თვის მაჩვენებლები

2023 წლის დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 2,502.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც ნოემბრის მაჩვენებელს 684.2 მლნ ლარით აღემატება, ხოლო წინა წლის დეკემბრის მაჩვენებელზე 591.8 მლნ ლარით ნაკლებია (ძირითადად, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების შემცირების გავლენით). რაც შეეხება 2023 წლის დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 2,729.1 მლნ ლარს, რაც ნოემბრის მაჩვენებელზე 782.9 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2022 წლის დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 495.1 მლნ ლარით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით.




დიაგრამა 3: სახელმწიფო ბიუჯეტო შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)


რაც შეეხება სახელმწიფო შემოსულობებისა და გადასახდელების კომპონენტების მიხედვით:

შემოსულობების ძირითადად ფორმირება ხარჯზე. ფინანსური კლების მარჯვენა მხარეს არაფინანსური რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 97.7 მლნ ლარი.

2023 წლის დეკემბერში ხარჯების მარჯვენა მხარეს შეადგინა, აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები, შესაბამისად - 618.4 მლნ ლარს და 117.3 მლნ ლარს, ხოლო ვალდებულებების კლების მარჯვენა მხარეს 98.0 მლნ ლარს გაუტოლდა.




დიაგრამა 4: შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)



დიაგრამა 5: გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების** მიმოხილვა, რაზეც დეკემბერში მიღებული შემოსავლების 90.4%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 66.7% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,669.9


ბადასახადები სახეების მიხედვით



დიაგრამა 6: გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

მლნ ლარი, ნოემბრის მაჩვენებელზე (1,390.7 მლნ ლარი) 279.2 მლნ ლარით (20.1%-ით) მეტი, რაც ძირითადად უკავშირდება სხვა გადასახადის მნიშვნელოვან (146.7 მლნ ლარით) მატებას. წინა თვესთან შედარებით, შემოსავალი ყველა დანარჩენი გადასახადიდან, გარდა იმპორტის გადასახადისა (რომელიც შემცირებულია მცირე ოდენობით, 2.0 მლნ ლარით), ასევე, მომატებულია: მოგების გადასახადი - 86.9 მლნ ლარით, საშემოსავლო გადასახადი - 25.8 მლნ ლარით, დღგ - 10.7 მლნ ლარით, ხოლო აქციზი - 11.1 მლნ ლარით (იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 21.5 მლნ ლარით ზრდის გავლენით).

ხარჯები სახეების მიხედვით



დიაგრამა 7: გაწეული ხარჯები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, **ხარჯებს**, იგი დეკემბერში გაწეული მთლიანი გადასახდელების 69.5%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა დეკემბერში შეადგინა 1,895.4 მლნ ლარი, წინა თვის მაჩვენებელზე (1,442.4 მლნ ლარი) 453.0 მლნ ლარით (31.4%-ით) მეტი, რაც ძირითადად უკავშირდება გრანტების მნიშვნელოვან, 257.8 მლნ ლარით ზრდას. ყველა სხვა დანარჩენი სახის ხარჯი, გარდა პროცენტისა (რომელიც შემცირებულია 88.6 მლნ ლარით), ასევე მომატებულია: საქონლისა და მომსახურების მუხლით გაწეული ხარჯები - 103.1 მლნ ლარით, სხვა ხარჯები - 96.3 მლნ ლარით, სოციალური უზრუნველყოფა - 21.0 მლნ ლარით, შრომის ანაზღაურება - 62.2 მლნ ლარით, ხოლო სუბსიდიები - 1.2 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2023 წლის დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდომ** შეადგინა -49.1 მლნ ლარი, ხოლო **მთლიანმა სალდომ** - (-569.8) მლნ ლარი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დეკემბერში მიღებული შემოსულობებისა (2,502.2 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (2,729.1 მლნ ლარი) გათვალისწინებით, დეკემბრის თვეში **ნაშთის გამოყენებამ** შეადგინა **226.8 მლნ ლარი**.


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2023 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელმა 22,679.5 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 82.5%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნორმალურ გამოხატულებაში 2021-2022 წლებთან შედარებით გაზრდილია, ძირითადად საგადასახადო შემოსავლების მატების გავლენით. რაც შეეხება მის წილს შემოსულობებში, ეს მაჩვენებელიც წინა წლებთან შედარებით, ასევე, მომატებულია. კერძოდ, 2022 წელს შემოსავლების წილი შემოსულობებში შეადგენდა 80.1%-ს, ხოლო 2021 წელს - 69.4%-ს. ვალდებულებების ზრდის მუხლის მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით, წილობრივად მთლიან შემოსულობებში შემცირებულია: 2023 წლის 12 თვეში ვალდებულებების ზრდით შემოსულობების მაჩვენებელი მთლიანი შემოსულობების 15.3%-ს შეადგენს, ხოლო 2022 წელს 18.2% და 2021 წელს 28.6%-ს შეადგენდა. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლებით შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 2.2%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი 2022 წელს 1.7%-ს, ხოლო 2021 წელს 2.0%-ს შეადგენდა.

შემოსავლების სახით იანვარ-დეკემბერში მიღებულია 18,716.5 მლნ ლარი, წლიური გეგმის 102.6%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 2,266.2 მლნ ლარით (13.8%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები, ხოლო გრანტები და სხვა შემოსავლების მაჩვენებლები გადაჭარბებით გამოირჩევა.

12 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 16,994.2 მლნ ლარს, წლიური გეგმის 101.7%-ს შეადგენს. გეგმის მიმართ ყველა გადასახადი (სხვა გადასახადის გარდა) კარგი შესრულებით ხასიათდება და 99.8%-102.3%-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება სხვა გადასახადებს, აღნიშნულის სახით 12 თვეში დაგეგმილი იყო 50.0 მლნ ლარი, ფაქტობრივი მაჩვენებელი კი 186.0 მლნ ლარს შეადგენს (372.1%)⁴. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 2,017.5 მლნ ლარით (13.5%-ით) არის გაზრდილი, რაც განპირობებულია ძირითადად საშემოსავლო გადასახადისა და დღგ-ის მნიშვნელოვანი ზრდით (შესაბამისად, 20.0%-ით და 12.5%-ით).


2021-2023 წწ. 12 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 8: 2021-2023 წწ. 12 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 776.9 მლნ ლარით (19.1%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, 12 თვეში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 6,793.7 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 756.8 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 703.2 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 53.7 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 12.9%-ით (260.0 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 246.6 მლნ ლარით ზრდის გავლენით (მ.შ. მსუბუქი ავტომობილებისა და თამბაქოს დაბეგვრიდან მიღებული, შესაბამისად, 111.9 მლნ ლარით (50.2%-ით) და 102.7 მლნ ლარით (11.6%-ით) მეტი შემოსავალი).

⁴ 2016 წელს სახაზინო კოდების სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სიდიდე.



დიაგრამა 9: 2022-2023 წწ. 12 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

გრანტების ფაქტობრივი მარჯვენებელი (325.8 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა და წლიური გეგმის 116.5%-ს შეადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით, 130.3 მლნ ლარის ოდენობით, მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღებასთან (წლიური გეგმის 130.3%) და საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 12 თვეში მიღებულია 90.4 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები 60.0 მლნ ლარის ოდენობით (წლიური გეგმის 42.9%) და საინვესტიციო გრანტები - 45.0 მლნ ლარის ოდენობით (წლიური გეგმის 113.8%).

სხვა შემოსავლების სახით 12 თვეში ბიუჯეტში მობილიზებულია 1,396.5 მლნ ლარი, წლიური გეგმის 111.7%, რაც ძირითადად დაკავშირებულია საკუთრებიდან შემოსავლების 63.5 მლნ ლარიანი (8.4%-იანი) გადაჭარბებით მიღებასთან. ძირითადი შემოსავალი (58.6%-ის ოდენობით) მიღებულია საკუთრებიდან, კერძოდ, პროცენტისა (322.4 მლნ ლარი) და დივიდენდის სახით (464.7 მლნ ლარი) სახით. სხვა შემოსავლების ჯამური მოცულობის 22.8% (317.8 მლნ ლარის ოდენობით) შემოსულია არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან.

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებულია 203.4 მლნ ლარი, წლიური გეგმის 101.7%, მ.შ. დეკემბრის თვეში შემოსულია წლიური ფაქტობრივი მოცულობის თითქმის ნახევარი - 97.7 მლნ ლარი, ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მნიშვნელოვანი თანხების (91.1 მლნ ლარი) მიღების გავლენით.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (290.8 მლნ ლარი) შესრულების დაბალი მარჯვენებლით ხასიათდება და წლიური გეგმის 64.6%-ს შეადგენს, რაც ძირითადად მოდის გაცემული სესხების დაბრუნებიდან მიღებულ სახსრებზე. წინა წლის მარჯვენებელთან შედარებით იგი გაზრდილია 146.6 მლნ ლარით (2-ჯერ).

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებმა 12 თვეში 3,468.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 105.7%-ია. საგარეო დაფინანსების წყაროდან თანხები ძირითადად შემოსულია საინვესტიციო კრედიტების სახით, 1,711.0 მლნ ლარის ოდენობით (წლიური გეგმის 107.5%), ხოლო საბიუჯეტო კრედიტების სახით მიღებულია 298.4 მლნ ლარი (წლიური გეგმის 102.9%).

| | 2023 წლის გეგმა | 12 თვის შესრულება | შესრულება წლიურ გეგმასთან |
|----------------------------|-----------------|-------------------|---------------------------|
| ვალდებულებების ზრდა | 3,281.0 | 3,468.8 | 105.7% |
| საგარეო | 1,881.0 | 2,009.4 | 106.8% |
| საბიუჯეტო კრედიტები | 290.0 | 298.4 | 102.9% |
| საინვესტიციო კრედიტები | 1,591.0 | 1,711.0 | 107.5% |
| საშინაო | 1,400.0 | 1,459.4 | 104.2% |


ცხრილი 2 : 2023 წლის 12 თვეში ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მარჯვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 1,459.4 მლნ ლარი შეადგინა (წლიური გეგმის 104.2%).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2023 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 22,349.7 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 75.7%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და მცირედით შემცირებულია 2022 წელთან შედარებით. კერძოდ, 2021 წლის 12 თვეში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 71.7%-ს, ხოლო 2022 წლის 12 თვეში - 76.1%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2023 წლის იანვარ-დეკემბერში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 17.8% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 1.6% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 4.9%. 2022 წლის იანვარ-დეკემბერში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 16.4%-ის, 2.4%-ის და 5.1%-ის ოდენობებით, ხოლო, 2021 წლის 12 თვეში - 12.8%-ის, 1.6%-ის და 13.8%-ის ოდენობებით.


2021-2023 წწ. 12 თვის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 10: გადასახდელების კომპონენტების შესრულებები 2021-2023 წლების იანვარ-დეკემბერში (მლნ ლარი)

ხარჯების შესრულებამ იანვარ-დეკემბერში შეადგინა 16,928.1 მლნ ლარი, წლიური გეგმის 100.2%, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 1,577.9 მლნ ლარით (10.3%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან (გარდა სხვა ხარჯებისა და სუბსიდიებისა, რომლებიც შემცირებულია შესაბამისად 366.5 მლნ ლარით და 60.8 მლნ ლარით). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის სოციალური უზრუნველყოფის (753.8 მლნ ლარი) და პროცენტის (435.4 მლნ ლარი) მუხლებზე. წლიურ გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა ხარჯების ყველა კომპონენტი. კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლის შესრულება წლიური გეგმის 97.3%-ს შეადგენს, საქონელი და მომსახურება - 102.6%-ს, პროცენტი - 98.4%-ს, სუბსიდიები - 101.2%-ს, გრანტები - 103.9%-ს, სოციალური უზრუნველყოფა - 100.6%-ს და სხვა ხარჯები - 97.7%-ს.

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (1,182.2 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 665.5 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 516.7 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (6,805.9 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (4,952.4 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (1,332.1 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (369.5 მლნ ლარი).



დიაგრამა 11: 2022-2023 წწ. 12 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულება (3,972.8 მლნ ლარი) წლიური გეგმის 100.4%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (1,782.2 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (430.5 მლნ ლარი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (235.2 მლნ ლარი), ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (205.6 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (201.3 მლნ ლარი), იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (193.6 მლნ ლარი) და ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (175.4 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (355.9 მლნ ლარი) წლიური გეგმის 105.5%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები მოდის:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამებზე:
 - ✓ „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 14) – 111.6 მლნ ლარის ოდენობით;
 - ✓ „საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 08) – 1.5 მლნ ლარის ოდენობით;
 - ✓ „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (პროგრამული კოდი 24 19) - 8.3 მლნ ლარის ოდენობით.
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე:
 - ✓ „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 25 04) - 183.1 მლნ ლარის ოდენობით;
 - ✓ „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 25 05) - 15.8 მლნ ლარის ოდენობით.
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 35.5 მლნ ლარის ოდენობით.

ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება (1,092.9 მლნ ლარი) შესრულების კარგი დონით ხასიათდება და წლიური გეგმის 97.7%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლის დიდი წილი, 1,050.3 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

| | 2023 წლის გეგმა | 12 თვის შესრულება | შესრულება წლიურ გეგმასთან |
|-----------------------------|-----------------|-------------------|---------------------------|
| ვალდებულებების კლება | 1,118.5 | 1,092.9 | 97.7% |
| საგარეო | 1,075.6 | 1,050.3 | 97.6% |
| საშინაო | 42.9 | 42.6 | 99.3% |

ცხრილი 3: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2023 წლის 12 თვეში (მლნ ლარი, %)


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, გადასახდელების იანვარ-დეკემბრის შესრულება მოიცავს **დამატებით 10 პროგრამულ კოდს**, რომლის ფარგლებშიც მოხდა ასიგნებების ათვისება, ესენია:

- „ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი - 31 05 22) – 10.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 31 05 23) – 4.4 მლნ ლარის ოდენობით;
- „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 24 14 03) – 1.4 მლნ ლარის ოდენობით;
- „ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში (აჭარის სატყეო სააგენტოს კომპონენტი) (KfW)“ (პროგრამული კოდი - 55 13 13) – 1.4 მლნ ლარის ოდენობით;
- „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის (KfW)“ (პროგრამული კოდი - 27 06 06) – 1.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 56 00) – 1.2 მლნ ლარის ოდენობით;
- „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი - 26 11) – 1.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 63 00) – 1.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 31 05 25) – 0.2 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 58 00) – 0.1 მლნ ლარის ოდენობით;

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულებას, იანვარ-დეკემბერში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 2,267.4 მლნ ლარი, წლიური გეგმის 98.1%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 1,109.6 მლნ ლარი, საიდანაც 445.3 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 643.8 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 20.5 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-დეკემბერში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 369.5 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 496.7 მლნ ლარის, 94.8 მლნ ლარის და 8.2 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის⁵ მიხედვით შეადგინა 20,900.9 მლნ ლარი (წლიური გეგმის 100.2%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

2023 წლის 12 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია



დიაგრამა 12: 2023 წლის 12 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

გამოყენებული მონაცემების წყარო:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2014-2023 წლების იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2022-2023 წლების იანვარ-დეკემბერში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

⁵ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

| დასახელება | 2021 წლის 12 თვის შემოსულობა | 2022 წლის 12 თვის შემოსულობა | 2023 წლის წლიური გეგმა | 2023 წლის 12 თვის შემოსულობა | 2023 წლის 12 თვის შემოსულობა / 2023 წლის წლიური გეგმა | | 2023 წლის 12 თვის შემოსულობა / 2022 წლის 12 თვის შემოსულობა | |
|--|------------------------------|------------------------------|------------------------|------------------------------|---|---------------|---|----------------|
| | | | | | სხვაობა | % | სხვაობა | %-ური ცვლილება |
| შემოსულობები | 18,377.7 | 20,529.2 | 22,170.9 | 22,679.5 | 508.6 | 102.3% | 2,150.3 | 10.5% |
| შემოსავლები | 12,750.3 | 16,450.2 | 18,239.9 | 18,716.5 | 476.6 | 102.6% | 2,266.2 | 13.8% |
| გადასახდელები | 11,439.5 | 14,976.7 | 16,710.4 | 16,994.2 | 283.8 | 101.7% | 2,017.5 | 13.5% |
| საშემოსავლო გადასახადი | 3,491.5 | 4,644.4 | 5,486.4 | 5,574.8 | 88.5 | 101.6% | 930.4 | 20.0% |
| მოგების გადასახადი | 1,015.3 | 1,930.2 | 2,000.0 | 2,018.2 | 18.2 | 100.9% | 88.0 | 4.6% |
| დღგ | 4,883.9 | 6,036.8 | 6,804.0 | 6,793.7 | -10.3 | 99.8% | 756.8 | 12.5% |
| აქციზი | 1,868.8 | 2,010.2 | 2,220.0 | 2,270.3 | 50.3 | 102.3% | 260.0 | 12.9% |
| იმპორტის გადასახადი | 86.4 | 126.0 | 150.0 | 151.2 | 1.2 | 100.8% | 25.2 | 20.0% |
| სხვა გადასახადები | 93.6 | 229.1 | 50.0 | 186.0 | 136.0 | 372.1% | -43.1 | -18.8% |
| გრანტები | 487.1 | 359.1 | 279.6 | 325.8 | 46.2 | 116.5% | -33.3 | -9.3% |
| სხვა შემოსავლები | 823.7 | 1,114.5 | 1,250.0 | 1,396.5 | 146.5 | 111.7% | 282.0 | 25.3% |
| არაფინანსური აქტივების კლება | 212.6 | 202.8 | 200.0 | 203.4 | 3.4 | 101.7% | 0.5 | 0.3% |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 163.3 | 144.2 | 450.0 | 290.8 | -159.2 | 64.6% | 146.6 | 101.7% |
| ვალდებულებების ზრდა | 5,251.5 | 3,731.9 | 3,281.0 | 3,468.8 | 187.8 | 105.7% | -263.1 | -7.0% |
| საგარეო | 5,558.0 | 2,385.5 | 1,881.0 | 2,009.4 | 128.4 | 106.8% | -376.1 | -15.8% |
| საშინაო | -306.5 | 1,346.3 | 1,400.0 | 1,459.4 | 59.4 | 104.2% | 113.1 | 8.4% |
| გადასახდელები | 19,807.5 | 20,163.0 | 22,311.3 | 22,349.7 | 38.4 | 100.2% | 2,186.7 | 10.8% |
| ხარჯები | 14,197.9 | 15,350.2 | 16,899.9 | 16,928.1 | 28.2 | 100.2% | 1,577.9 | 10.3% |
| შრომის ანაზღაურება | 1,654.8 | 1,792.1 | 2,237.1 | 2,177.2 | -60.0 | 97.3% | 385.1 | 21.5% |
| საქონელი და მომსახურება | 1,800.1 | 1,870.9 | 2,085.4 | 2,139.0 | 53.6 | 102.6% | 268.1 | 14.3% |
| პროცენტი | 790.5 | 746.8 | 1,201.0 | 1,182.2 | -18.8 | 98.4% | 435.4 | 58.3% |
| სუბსიდიები | 859.8 | 1,004.6 | 932.6 | 943.9 | 11.3 | 101.2% | -60.8 | -6.0% |
| გრანტები | 950.2 | 1,260.6 | 1,370.0 | 1,423.3 | 53.2 | 103.9% | 162.7 | 12.9% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 6,082.6 | 6,052.1 | 6,762.9 | 6,805.9 | 43.0 | 100.6% | 753.8 | 12.5% |
| სხვა ხარჯები | 2,059.8 | 2,623.1 | 2,310.8 | 2,256.6 | -54.2 | 97.7% | -366.5 | -14.0% |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,544.2 | 3,304.4 | 3,955.7 | 3,972.8 | 17.1 | 100.4% | 668.4 | 20.2% |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 323.2 | 489.4 | 337.2 | 355.9 | 18.7 | 105.5% | -133.6 | -27.3% |
| ვალდებულებების კლება | 2,742.3 | 1,019.0 | 1,118.5 | 1,092.9 | -25.6 | 97.7% | 73.9 | 7.3% |
| საგარეო | 2,655.8 | 976.1 | 1,075.6 | 1,050.3 | -25.3 | 97.6% | 74.2 | 7.6% |
| საშინაო | 86.5 | 42.9 | 42.9 | 42.6 | -0.3 | 99.3% | -0.2 | -0.5% |
| ნაშთის ცვლილება (+ დაბრუნება / - გამოყენება) | -1,429.8 | 366.2 | -140.4 | 329.8 | 470.2 | | -36.3 | |

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

| დასახელება | 2021 წლის 12 თვის შესრულება | 2022 წლის 12 თვის შესრულება | 2023 წლის წლიური გეგმა | 2023 წლის 12 თვის შესრულება | 2023 წლის 12 თვის შესრულება / 2023 წლის წლიური გეგმა | | 2023 წლის 12 თვის შესრულება / 2022 წლის 12 თვის შესრულება | |
|--|-----------------------------|-----------------------------|------------------------|-----------------------------|--|----------------|---|----------------|
| | | | | | სხვაობა | % | სხვაობა | %-ული ცვლილება |
| შემოსავლები | 12,750.3 | 16,450.2 | 18,239.9 | 18,716.5 | 476.6 | 102.6% | 2,266.2 | 13.8% |
| გადასახადები | 11,439.5 | 14,976.7 | 16,710.4 | 16,994.2 | 283.8 | 101.7% | 2,017.5 | 13.5% |
| გრანტები | 487.1 | 359.1 | 279.6 | 325.8 | 46.2 | 116.5% | -33.3 | -9.3% |
| სხვა შემოსავლები | 823.7 | 1,114.5 | 1,250.0 | 1,396.5 | 146.5 | 111.7% | 282.0 | 25.3% |
| ხარჯები | 14,197.9 | 15,350.2 | 16,899.9 | 16,928.1 | 28.2 | 100.2% | 1,577.9 | 10.3% |
| შრომის ანაზღაურება | 1,654.8 | 1,792.1 | 2,237.1 | 2,177.2 | -60.0 | 97.3% | 385.1 | 21.5% |
| საქონელი და მომსახურება | 1,800.1 | 1,870.9 | 2,085.4 | 2,139.0 | 53.6 | 102.6% | 268.1 | 14.3% |
| პროცენტი | 790.5 | 746.8 | 1,201.0 | 1,182.2 | -18.8 | 98.4% | 435.4 | 58.3% |
| სუბსიდიები | 859.8 | 1,004.6 | 932.6 | 943.9 | 11.3 | 101.2% | -60.8 | -6.0% |
| გრანტები | 950.2 | 1,260.6 | 1,370.0 | 1,423.3 | 53.2 | 103.9% | 162.7 | 12.9% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 6,082.6 | 6,052.1 | 6,762.9 | 6,805.9 | 43.0 | 100.6% | 753.8 | 12.5% |
| სხვა ხარჯები | 2,059.8 | 2,623.1 | 2,310.8 | 2,256.6 | -54.2 | 97.7% | -366.5 | -14.0% |
| საოპერაციო სალდო | -1,447.6 | 1,100.1 | 1,340.0 | 1,788.4 | 448.4 | 133.5% | 688.3 | 62.6% |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2,331.6 | 3,101.6 | 3,755.7 | 3,769.4 | 13.8 | 100.4% | 667.8 | 21.5% |
| ზრდა | 2,544.2 | 3,304.4 | 3,955.7 | 3,972.8 | 17.1 | 100.4% | 668.4 | 20.2% |
| კლება | 212.6 | 202.8 | 200.0 | 203.4 | 3.4 | 101.7% | 0.5 | 0.3% |
| მთლიანი სალდო | -3,779.2 | -2,001.5 | -2,415.7 | -1,981.0 | 434.6 | 82.0% | 20.5 | -1.0% |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -1,269.9 | 711.4 | -253.2 | 394.9 | 648.0 | -156.0% | -316.5 | -44.5% |
| ზრდა | 323.2 | 855.6 | 337.2 | 685.7 | 348.5 | 203.4% | -169.9 | -19.9% |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 366.2 | 0.0 | 329.8 | 329.8 | | -36.3 | -9.9% |
| სესხები | 323.2 | 477.3 | 337.2 | 354.4 | 17.2 | 105.1% | -123.0 | -25.8% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 12.1 | 0.0 | 1.5 | 1.5 | | -10.6 | -87.4% |
| კლება | 1,593.1 | 144.2 | 590.4 | 290.8 | -299.5 | 49.3% | 146.6 | 101.7% |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1,429.8 | 0.0 | 140.4 | 0.0 | -140.4 | 0.0% | 0.0 | |
| სესხები | 160.8 | 143.2 | 450.0 | 289.3 | -160.7 | 64.3% | 146.0 | 101.9% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 2.5 | 1.0 | 0.0 | 1.6 | 1.6 | | 0.6 | 60.6% |
| ვალდებულებების ცვლილება | 2,509.3 | 2,712.9 | 2,162.5 | 2,375.9 | 213.4 | 109.9% | -337.0 | -12.4% |
| ზრდა | 5,251.5 | 3,731.9 | 3,281.0 | 3,468.8 | 187.8 | 105.7% | -263.1 | -7.0% |
| საშინაო | -306.5 | 1,346.3 | 1,400.0 | 1,459.4 | 59.4 | 104.2% | 113.1 | 8.4% |
| საგარეო | 5,558.0 | 2,385.5 | 1,881.0 | 2,009.4 | 128.4 | 106.8% | -376.1 | -15.8% |
| კლება | 2,742.3 | 1,019.0 | 1,118.5 | 1,092.9 | -25.6 | 97.7% | 73.9 | 7.3% |
| საშინაო | 86.5 | 42.9 | 42.9 | 42.6 | -0.3 | 99.3% | -0.2 | -0.5% |
| საგარეო | 2,655.8 | 976.1 | 1,075.6 | 1,050.3 | -25.3 | 97.6% | 74.2 | 7.6% |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | | 0.0 | |

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

| კოდი | დასახელება | 2023 წლიური გეგმა | 2023 წლის 12 თვის შესრულება | 2023 წლის 12 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში % |
|-------------|--|-------------------|-----------------------------|---|
| 00 00 | სულ ჯამი | 22,311.3 | 22,349.7 | 100.2% |
| 01 00 | საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები | 77.5 | 77.9 | 100.6% |
| 01 01 | საკანონმდებლო საქმიანობა | 63.7 | 64.5 | 101.3% |
| 01 01 01 | საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და სახედაუმხედველო საქმიანობა | 23.5 | 19.8 | 84.6% |
| 01 01 02 | საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა | 7.9 | 8.7 | 110.2% |
| 01 01 03 | საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა | 32.4 | 36.0 | 111.1% |
| 01 01 03 01 | საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება | 32.4 | 36.0 | 111.2% |
| 01 01 03 02 | გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება | 0.1 | 0.05 | 97.7% |
| 01 02 | საბიბლიოთეკო საქმიანობა | 12.0 | 11.6 | 96.6% |
| 01 03 | ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება | 0.6 | 0.6 | 99.6% |
| 01 04 | საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება | 1.1 | 1.2 | 105.9% |
| 02 00 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | 9.3 | 9.0 | 96.6% |
| 03 00 | საქართველოს ბიზნესობმუდსმენის აპარატი | 0.8 | 0.7 | 94.5% |
| 04 00 | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია | 24.0 | 73.3 | 305.3% |
| 05 00 | სახელმწიფო აუდიტის სამსახური | 21.3 | 20.9 | 98.2% |
| 06 00 | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია | 77.2 | 91.5 | 118.5% |
| 06 01 | საარჩევნო გარემოს განვითარება | 21.6 | 20.6 | 95.3% |
| 06 02 | საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა | 1.6 | 2.0 | 120.5% |
| 06 03 | პოლიტიკური პარტიების დაფინანსება | 12.7 | 12.7 | 100.0% |
| 06 04 | არჩევნების ჩატარების ღონისძიებები | 41.2 | 56.2 | 136.3% |
| 07 00 | საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო | 5.8 | 5.2 | 89.9% |
| 08 00 | საქართველოს უზენაესი სასამართლო | 16.1 | 15.6 | 97.1% |
| 09 00 | საერთო სასამართლოები | 117.0 | 100.8 | 86.1% |
| 09 01 | საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა | 114.5 | 98.7 | 86.2% |
| 09 02 | მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება | 2.5 | 2.1 | 82.4% |
| 10 00 | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო | 7.9 | 5.8 | 73.1% |
| 11 00 | სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში | 1.3 | 1.2 | 92.6% |
| 12 00 | სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში | 1.1 | 1.0 | 96.4% |
| 13 00 | სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში | 1.3 | 1.3 | 102.1% |
| 14 00 | სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში | 1.2 | 1.1 | 96.4% |
| 15 00 | სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში | 1.1 | 0.9 | 86.9% |
| 16 00 | სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში | 1.1 | 1.0 | 94.9% |

| კოდი | დასახელება | 2023 წლიური გეგმა | 2023 წლის 12 თვის შესრულება | 2023 წლის 12 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში % |
|----------|---|-------------------|-----------------------------|---|
| 17 00 | სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში | 1.0 | 1.0 | 96.9% |
| 18 00 | სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში | 1.3 | 1.3 | 98.2% |
| 19 00 | სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში | 1.0 | 1.0 | 98.8% |
| 20 00 | საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური | 180.0 | 179.8 | 99.9% |
| 20 01 | სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა | 147.7 | 142.9 | 96.8% |
| 20 02 | ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა | 30.0 | 34.8 | 116.2% |
| 20 03 | უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება | 2.4 | 2.1 | 88.0% |
| 21 00 | საქართველოს პროკურატურა | 56.5 | 55.5 | 98.2% |
| 22 00 | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 3.7 | 3.9 | 106.5% |
| 23 00 | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | 106.0 | 100.3 | 94.6% |
| 23 01 | სახელმწიფო ფინანსების მართვა | 25.4 | 22.6 | 88.7% |
| 23 02 | შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება | 30.2 | 25.0 | 82.8% |
